საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/10764
26/10/2022

10764-15-3-2-202210262022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

# რეკომენდაცია

**მსჯავრდებულ [redacted] სამოქალაქო მრავალპროფილურ სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] საქმეს, მის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე. მოცემული საქმის შესწავლის შედეგად, მიუხედავად ამჟამინდელი განთავსების ადგილზე გაწეული სამედიცინო მომსახურებისა, [redacted] სამოქალაქო მრავალპროფილურ კლინიკაში, შემჭიდროვებულ ვადებში, გადაყვანის აუცილებლობა გამოიკვეთა.

**მსჯავრდებულ [redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობა**

სახალხო დამცველის აპარატი უკანასკნელი წლების განმავლობაში სწავლობს [redacted] საქმეს, მის მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების მიმართულებით. მას დადგენილი აქვს დიაგნოზი: ქრონიკული C და B ჰეპატიტი დელტა აგენტთან ერთად,

ღვიძლის ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, მეორადი თრომბოციტოპენია, ჰეპატოცელულური კარცინომა Crade 2.

2021 წელს [redacted] ჩაუტარდა B დელტა აგენტთან ერთად ქრონიკული ჰეპატიტის გამო ანტივირუსული მკურნალობა. თუმცა, ამჟამად, მკურნალობა შეწყვეტილია ღვიძლზე სიმსივნური კერის გამოვლენის გამო. ამ ეტაპზე, [redacted] უტარდება დიაგნოსტიკური გამოკვლევები ონკოლოგიური მიმართულებით.

ამასთან, [redacted] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა შემდეგი სასარჩელო მოთხოვნით: დაევალოს მოპასუხე - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მოსარჩელისთვის ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარება.

გარდა ამისა, მოსარჩელე მხარემ შუამდგომლობით მოითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე [redacted] სამოქალაქო პროფილის კლინიკაში გადაყვანა.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობდა [redacted] ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების საფრთხე, ხოლო ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა მოსარჩელისთვის ღვიძლის გადანერგვას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის მძიმე და საჭიროებს სხვადასხვა პროფილის ექიმების მუდმივ მეთვალყურეობას. სპეციალისტების განმარტების გათვალისწინებით, ღვიძლის ტრანსპლანტაციის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს სიმსივნური წარმონაქმნები, რომელთა მოცულობისა და რაოდენობის ზრდამ და მრავლობითი დაზიანების არსებობამ შესაძლოა შეუძლებელი გახადოს ღვიძლის გადანერგვა.

სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ მართალია N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება წარმოადგენს სტაციონარული ტიპის დაწესებულებას, თუმცა, დაწესებულებაში არ იმყოფება ონკოლოგი და კონსულტაციის მიზნით, [redacted] გადაყვანა ხდება სხვადასხვა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, რაც სასამართლოს შეფასებით, არ არის ეფექტური და პაციენტის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისი. ვინაიდან, დავის საგანი შეეხება მოსარჩელის ჯანმრთელობას, ხოლო, საქმის განხილვას საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გარკვეული დრო ესაჭიროება, შესაძლოა დაყოვნებამ საფრთხე შეუქმნას მოსარჩელის ინტერესს, რომელიც უკავშირდება დროულ და სრულფასოვან მკურნალობას.

ამავე განჩინების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასწრაფო ღონისძიების სახით უნდა გამოეტანა დროებითი განჩინება, რომლითაც დაავალა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სათანადო მკურნალობა ჩაუტაროს მოსარჩელეს შესაბამის სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოში.

ამდენად, მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 22 სექტემბრის დროებითი

განჩინებით,[1] საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოპასუხე მხარეს დაევალა [redacted], მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სათანადო მკურნალობის ჩატარება შესაბამის სამოქალაქო საავადმყოფოში.

2022 წლის 30 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებული, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ [redacted]. მისი განმარტებით, ამავე დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 22 სექტემბრის დროებითი განჩინების აღსრულების მიზნით, იგი გადაიყვანეს კლინიკა „ვივამედის" ემერჯენსში, სადაც ჩაუტარდა ექოსკოპია და გაუკეთდა სისხლის ანალიზი და იმავე დღეს, მისთვის უცნობი მიზეზით დააბრუნეს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის რწმუნებული, ასევე გაესაუბრა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მთავარ ექიმს. მისი განმარტებით, კლინიკა „ვივამედი"-დან მსჯავრდებული დააბრუნეს იმ მოტივით, რომ იმ ეტაპზე, იგი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებდა, ხოლო, აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით, სხვა დამატებითი ინფორმაცია მას არ გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე (სხდომის მონიტორინგს ახორციელებდა სახალხო დამცველის რწმუნებული), [redacted] პრეტენზია გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი განჩინება არ აღსრულდა, კერძოდ, მას მხოლოდ გამოკვლევები ჩაუტარეს სამოქალაქო პროფილის კლინიკაში და იმავე დღეს დააბრუნეს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული დროებითი განჩინების აღსრულების მიზნით, 2022 წლის 30 სექტემბერს [redacted] გაიყვანეს შესაბამის კლინიკაში, თუმცა, გამოკვლევების ჩატარების შემდეგ საჭიროდ არ ჩაითვალა მისი სტაციონარული მკურნალობის მიზნით კლინიკაში დატოვება და იგი დაბრუნდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლის პოზიციის მოსმენის შემდეგ სასამართლომ განმარტა, რომ დროებითი განჩინებით მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისთვის სამოქალაქო პროფილის კლინიკაში არა გამოკვლევების, არამედ მკურნალობის ჩატარება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს ვერ გადაწყვეტდა კლინიკა და აღნიშნული მოპასუხე მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სასამართლო დროებით განჩინებას აღსრულებულად ვერ მიიჩნევდა.

სასამართლომ იმავე დღეს მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის თანახმად, მსჯავრდებულ [redacted] სარჩელი ნაწილობრივ

---

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირინა გოგოლაძის 2022 წლის 22 სექტემბრის განჩინება, საქმე N3/903-22.

დაკმაყოფილდა: სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა [redacted] ღვიძლის გადანერგვა და გადანერგვისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება სათანადო სამედიცინო დაწესებულებაში.[2]

სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების, მათ შორის, სავარაუდო დონორისთვის[3] გენეტიკური თავსებადობის მიზნით სათანადო გამოკვლევების ჩატარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა.[4]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გადაწყვეტილებაში მითითებული სამედიცინო ღონისძიებების დაგეგმვისა და შესრულების მიზნით, მოძიებულ იქნა და 2022 წლის 12 ოქტომბერს წერილობით მიემართა შესაბამის სამოქალაქო კლინიკას (სს ევექსის ჰოსპიტლები-ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი).[5]

## სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.[6] სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას.[7]

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.[8]

ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ეთავსებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას.[9] პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე

---

[2] 2022 წლის 6 ოქტომბერს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას უშუალოდ ესწრებოდა სახალხო დამცველის რწმუნებული. ამდენად, სასამართლოს პოზიცია სხდომის მონიტორინგიდანვე გახდა აპარატისთვის ცნობილი.

[3] სასამართლო პროცესზე [redacted] განაცხადა, რომ მას ღვიძლის ტრანსპლანტაციისთვის დონორი მოძიებული ჰყავს.

[4] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 7 ოქტომბრის N 15-3/10117 წერილი.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2022 წლის 19 ოქტომბრის წერილი.

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 28, ნაწ. 1.

[7] იქვე, ნაწ. 2.

[8] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარა. 40.2.

[9] იქვე, პარა. 40.2.

დისკრიმინაციის გარეშე.[10] ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება, უნდა გაეწიოს პატიმრებს.[11] ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას უნდა გადაყვანილ იქნან სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.[12] თუ სასჯელაღსრულების სამსახურს გააჩნია საკუთარი სტაციონარი, ის სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი პატიმართათვის შესაბამისი მზრუნველობისა და მკურნალობის გასაწევად.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირი სათანადო სამედიცინო მომსახურებით, ფსიქიატრიული დახმარების ჩათვლით. თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობა შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად განიხილავს საქმეებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების სათანადო მკურნალობის არარსებობას წამებისა და არასათანადო მოპყრობის ჭრილში.[14]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[15]

ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.[16] მათი ჯანმრთელობის დაცვა, ასევე, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას მათი სიცოცხლის დაცვისთვის აუცილებელი და ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.[17]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა" რჩება რთულად დასადგენ ელემენტად. ამასთან, გარკვეული

---

[10] იქვე, პარა. 40.3.
[11] იქვე, პარა. 40.5.
[12] იქვე, პარა 46.1.
[13] იქვე, პარა 46.2.
[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013, N10799/06 § 66.
[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Bujak v. Poland, 2017, 686/12, § 68.
[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Naumenko v. Ukraine, 2004, 42023/98, § 112; Dzieciak v. Poland, 2008, 77766/01, § 91
[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Taïs v. France, 2006, 39922/03, § 98; Huylu v. Turkey, 2006, 52955/99, § 58.

სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.[18] საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა დამდგარი შედეგით.[19] ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.[20]

სამედიცინო დახმარების ადეკვატურობის განსასაზღვრად სასამართლო გულისხმიერების ტესტს იყენებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირის ჯანმრთელობა გაუარესდა, არ არის საკმარისი უფლების დარღვევის დასადასტურებლად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც რელევანტურმა შიდაეროვნულმა უწყებებმა დროულად და ამომწურავად არ გადადგეს ყველა გონივრული შესაძლო ნაბიჯი და არ გამოიყენეს ყველა კეთილსინდისიერი სამედიცინო გზა პაციენტის განსაკურნად.[21]

ამრიგად, მხოლოდ ექიმის მიერ პაციენტის მონახულება და მის მიერ დანიშნულების გამოწერა ვერ შეფასდება ადეკვატურ სამედიცინო დახმარებად.[22] შესაბამისმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ მსჯავრდებულის სრულყოფილი და ამომწურავი სამედიცინო ბარათის წარმოება,[23] დიაგნოზისა და მკურნალობის დროულობა და აკურატულობა,[24] რეგულარული და მრავალმხრივი (სადაც საჭიროა) სამედიცინო ზედამხედველობა, მკურნალობა არა სიმპტომური მეთოდით, არამედ მსჯავრდებულის მთავარი სამედიცინო პრობლემისა.[25] დამატებით, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ დანიშნულება, რომელიც ამგვარი მკურნალობის ფარგლებში იქნა გაცემული, რეალურად სრულდება.[26]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურებით.[27] მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით. მსჯავრდებულისთვის საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო

---

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, §71.

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, § 71.

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Hummatov v. Azerbaijan, 2007, 9852/03, § 116.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Khudobin v. Russia, 2006, 59696/00, § 83.

[24] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Melnik v. Ukraine, 2006, 72286/01 §§ 104-106.

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Amirov v. Russia, 2014, § 93.

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Holomiov v. Moldova, 2006, 30649/05, § 117.

[27] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 14, ნაწ. 1, ქვეპ. „ა.ბ".

საშუალებები.[28] ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად.[29]

ეროვნული კანონმდებლობა ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლის და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში. ამასთან პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების აღნიშნული სტანდარტები ამოცანად ისახავს პატიმართა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.[30] მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს ექიმთან შეუზღუდავი კონტაქტის უფლება, რაც გულისხმობს, საჭიროებისამებრ, სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროცესის დაგეგმვას.[31]

„პაციენტის უფლებების შესახებ" კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.[32] ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.[33]

## დასკვნა

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ვიდრე [redacted] ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარების მიზნით შესაბამისი პროცედურები განხორციელდება, დღეის მდგომარეობით, კვლავაც არსებობს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ის რეალური რისკები, რომლებზეც სასამართლო მიუთითებდა 2022 წლის 22 სექტემბრის განჩინებაში და რაზეც სასამართლომ მკაფიო მითითება გააკეთა 2022 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზეც, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის სასამართლო პროცესზე. კერძოდ, რისკები, რომელთა დადგომა გამორიცხავს და აზრს დაუკარგავს მსჯავრდებულისთვის ღვიძლის გადანერგვას.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ [redacted], შემჭიდროვებულ ვადებში, უნდა მოთავსდეს სამოქალაქო მრავალპროფილურ კლინიკაში, სადაც ჩაუტარდება დროული და ეფექტიანი მკურნალობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების თავიდან აცილების

---

[28] იქვე, მუხ. 24, ნაწ. 1.

[29] იქვე, მუხ. 119.

[30] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის N381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ", დანართი N1, მუხ. 19, ქვეპუნქტ. „ა" და „თ".

[31] იქვე, მუხ. 3, ქვეპუნქტ. „ა".

[32] „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 5.

[33] „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 46.

მიზნით და იქნება სხვადასხვა პროფილის ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

1. ღვიძლის გადანერგვისათვის აუცილებელი პროცედურების დასრულებამდე [redacted] მოთავსდეს შესაბამის სამოქალაქო მრავალპროფილურ კლინიკაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების პრევენციის მიზნით;
2. მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში დასრულდეს ღვიძლის გადანერგვისთვის აუცილებელი პროცედურები, მათ შორის, სავარაუდო დონორისთვის გენეტიკური თავსებადობის დადგენის მიმართულებით და [redacted] გაეწიოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

რეკომენდაციის განხილვის შედეგების, გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი